

## განმარტებითი ბარათი

**„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე**

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### **ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით. კერძოდ, აღნიშნული კანონით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების რეგისტრაციისა და გამოქვეყნების ახლებური წესი, რაც საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისობაში მოყვანა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაბამისობაშია მოყვანილი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით ახლებურად განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების რეგისტრაციისა და გამოქვეყნების წესთან.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

#### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

#### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

#### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

#### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

ასეთი არ არსებობს.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი*

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი*

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია